ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N78

ქ.თბილისი 2 აპრილი, 2021 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე	გულია გოცირიძე
ოთარ გრიგოლია	ლევან დარახველიძე
გიორგი დოხტურიშვილი	ერეკლე კუხიანიძე
ანა ლაშხი	ზაზა მამალაძე
ქეთევან მამულაშვილი	მიხეილ მესხი
თინათინ ნიბლოშვილი	შალვა ოგბაიძე
ვაჟა ოთარაშვილი	ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა	ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე	დავით უთმელიძე
ბორია ფირცხელიანი	ვახტანგ შაქარიშვილი
ავთანდილ ცინცაძე	ვლადიმერ ძნელაძე
დავით ჭელიძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)	ლევან ჯაფარიძე
ილია ჯიშკარიანი	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განაცხადა, რომ საკრებულო მიესალმება ანზორ ერქომაიშვილის მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვას. მან კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

4. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/მშენებლობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-99 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემული ქ.თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N00001 და N00002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩა N26-ში (ნაკვეთი N03/034, საკადასტრო კოდი: N01.19.17.003.034.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ლოჭინის დასახლებაში (ნაკვეთი 04/139, საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.139) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა, N139-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.010.01.602) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა, N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.019.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება N3-ში, კორპუსი N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.014.01.050) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის კორპუსი N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა N8-ში (ნაკვ. 23/011) მდებარე, 4150.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.12.023.079) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებლები: ირაკლი თავართქილაძე, მამუკა ჯაყელი

17. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

18. „ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.347) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

19. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბაღდადის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.044) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების

რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N445 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

20. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523; N01.72.14.009.443) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის N109 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ“.

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ პროექტი ეხება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის განხორციელების წესში ცვლილებას, კერძოდ, წარმოდგენილია მომლოდინეთა რიგში მყოფი 145 ბავშვის დამატება და შესაბამისად, ბენეფიციართა რაოდენობა 1230-დან იზრდება 1375-მდე.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საკრებულო, ეტაპობრივად დგამს ნაბიჯებს, რომ ამ მიმართულებით მაქსიმალურად გაფართოვდეს სპექტრი, რისი ერთ-ერთი დასტურიც არის წარმოდგენილი პროექტი.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ დღეს არის აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე და სიმბოლურია, რომ სწორედ დღეს ხდება იმ ბავშვების სიის განულება, რომლებსაც ამ მიმართულებით ესაჭიროებათ თერაპიის გავლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებული პროგრამის განხორციელება დაიწყო 2015 წელს და მისი ბიუჯეტი იყო 500000 ლარი, ხოლო დღეს აღნიშნული პროგრამის დაფინანსებისთვის გამოყოფილია 5200000 ლარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ლევან ჯაფარიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს უჭერს, მაგრამ ვერ მოასწრო კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება და ითხოვა აღნიშნულის გათვალისწინება.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა 7000000 ლარით, რის შემდეგაც მისი მთლიანი მოცულობა იქნება 1112410000 ლარი. ასევე, წარმოდგენილია შიდა გადანაწილება 1000000 ლარის ოდენობით და აღნიშნული 8000000 ლარი მიმართული იქნება მეწყერსაშიშ ტერიტორიებზე, კერძოდ, ვაშლიჯვრის და წყნეთის გზაზე, გასამაგრებელი სამუშაობის განსახორციელებლად.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტით თბილისის ბიუჯეტი იზრდება 7000000 ლარით, რომელიც მიმართულია საჭიროებისამებრ და კოლეგებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ აღნშინულ ცვლილებებს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ცვლილებები გამოწვეულია თბილისში დღეს არსებული ფორს-მაჟორული მდგომარეობით და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ ახალი მიკროავტობუსების 27 მარშრუტი გადავიდა ინტეგრირებულ სატარიფო სისტემაზე და აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა ხსენებული 27 სამარშრუტო ხაზის ამოღება დადგენილების ტექსტიდან.

გიორგი ტყემალაძე დაინტერესდა, თუ რამდენი სამარშრუტო ხაზია თბილისში, აქედან რამდენია ახალი ხაზი და ახალი სამარშრუტო ხაზებიდან რამდენი ხაზია ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული.

დავით ჯაიანმა განმარტა, რომ თბილისში M_2 კატეგორიის 85-მდე სამარშრუტო ხაზია, მათგან 45 სამარშრუტო ხაზი არის ახალი და ყველა ჩართულია ინტეგრირებულ სისტემაში.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი მიდის იმ მიმართულებით, რომ ეტაპობრივად, სრულად მოხდეს სამარშრუტო პარკის განახლება და ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვა, რაც ჩვენი მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი წარმატებული შემადგენელი ნაწილია.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ მიკროავტობუსები იბრუნებენ თავდაპირველ და სწორ დანიშნულებას, რაშიც იგულისხმება რთულად მისადგომი ადგილებიდან და კვარტლებიდან მოსახლეობის ე.წ. „დერეფნამდე“ გამოყვანა და შეიძლება ითქვას, რომ მიკროავტობუსმა შეითავსა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაწილობრივი ფუნქცია.

მარიკა დარჩია დაინტერესდა, არის თუ არა შესაძლებლობა, რომ ხილიანის ქუჩის მიმართულებით დაინიშნოს ახალი მარშრუტი და არსებობს თუ არა ინფორმაციული უზრუნველყოფა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობამ იცოდეს, თუ რა მიმართულებით მოძრაობს ესა თუ ის მიკროავტობუსი.

დავით ჯაიანმა განმარტა, რომ სამარშრუტო ხაზის თუნდაც ნახევარი კილომეტრით დაგრძელება იწვევს ინტერვალის ზრდას, რაც თავისთავად საჭიროებს მიკროავტობუსების რაოდენობის გაზრდას. თუმცა, ინფრასტრუქტურული ნაწილის გაგრძელების შემდეგ, რაც

გულისხმობს ახალი მიკროავტობუსების შემოყვანას, შესაძლებელი იქნება, როგორც სხვადასხვა მარშრუტების კორექტირებებზე, ასევე, სამარშრუტო ხაზების დამატებაზე მუშაობა. რაც შეეხება მიკროავტობუსების მოძრაობის მარშრუტების ინფორმაციულ უზრუნველყოფას, აღნიშნა, რომ სააგენტო, თავისი სოციალური ქსელების საშუალებით, ყოველკვირეულად აქვეყნებს ინფორმაციას და ასევე, ყველა ახალი მარშრუტი დამატებულია „Google"-ის რუკაზე.

ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა, სამგზავრო ტარიფის გაიაფება ეხება ყველა მიკროავტობუსის სამარშრუტო ხაზს თუ მხოლოდ ახალ ხაზებს და თუ ეს ეხება მხოლოდ ახალ ხაზებს, ყველა მათგანზე მოქმედებს თუ არა გაიაფებული სამგზავრო ტარიფი. ასევე დაინტერესდა, ისევ დგას თუ არა დღის წესრიგში სატრანსპორტო კომპანიის მხრიდან მიკროავტობუსების გამოსყიდვის საკითხი.

დავით ჯაიანმა განმარტა, რომ მგზავრობის ტარიფის გაიაფება ეხება ყველა ახალი მიკროავტობუსის სამარშრუტო ხაზს, ყველა მათგანი ჩართულია ინტეგრირებულ სისტემაში და მოქმედებს ე.წ. გადაჯდომის და სოციალური ჯგუფების სამგზავრო შეღავათები.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ სატრანსპორტო კომპანიამ გამოისყიდა მიკროავტობუსები, ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, კიდევ დაამატებს 700 მიკროავტობუსს და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/მშენებლობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-99 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილებით რეგულირდებოდა სარეკლამო ბილბორდების განთავსების წესები და პირობები. დღეის მდგომარეობით, აღნიშნულს არეგულირებს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული დადგენილება და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა, საკრებულო გადაწყვეტილებას იღებდეს შემდგომ პირობებთან დაკავშირებით, რასაც იზიარებს ქონების მართვის სააგენტოც, თუმცა, გარკვეული ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, საუბარია ხელშეკრულების გადავადებაზე. მისი თქმით, მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან და ცდილობს შემდგომი პირობები იყოს იმგვარი, რომ ეს სფერო გახდეს კონკურენტუნარიანი, არც ერთ კომპანიას არ ჰქონდეს მონოპოლია და ქალაქის ბიუჯეტისთვის იყოს მომგებიანი. მისი თქმით, საკრებულო, მერიასთან ერთად, ამ მიმართულებით განაგრძობს მუშაობას და მოუწოდა საკრებულოს წევრებს აქტიურად ჩაერთონ პროცესში.

ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, მას არ ჰქონდა მოლოდინი, რომ საკრებულო გააგრძელებდა იმ „კაბალური ხელშეკრულების" ძოქმედების ვადას, რომელთან დაკავშირებითაც ყველას ერთნაირი მოსაზრება აქვს და ადეკვატურად აფასებს შექმნილ ვითარებას. 12 წელია ცნობილია, რომ ხსენებული ხელშეკრულების ვადა იწურებოდა 2021 წლის აპრილში, თუმცა, სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტი ვერ მოემზადა იმისთვის, რომ „მერიის დღევანდელი ადმინისტრაციის და ქართული ოცნების უმრავლესობის ხელით არ მომხდარიყო უგულავას და ნაციონალური მოძრაობის მემკვიდრეობის, მართალია დროებით, მაგრამ მაინც გახანგრძლივება". ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ მზად არის აქტიურად ჩაერთოს

საკითხის განხილვის პროცესში და აღნიშნა, რომ მხოლოდ მისი ჩართულობა არ იქნება საკმარისი, უმჯობესია განხილვები იყოს უფრო ფართო და საჯარო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული ჯგუფები, ბიზნეს წრეების წარმომადგენლები, ეკონომისტები და დარგის სპეციალისტები, რათა მიღწეული იქნას მიზანი, რომელიც ყველას ამოძრავებს - „შეიქმნას სამართლიანი თამაშის წესები“.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ამ სფეროდან ბიუჯეტში შესული თანხა არის თბილისის ერთ-ერთი მთავარი შემოსავალი, რომლითაც შემდგომ ფინანსდება დედაქალაქისთვის სასიკეთო პროექტები. მისი თქმით, მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს, რომ ამ მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილება იყოს კონსესუსზე დაფუძნებული, ჰქოდეს უფრო დიდი ლეგიტიმაცია და აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, საკითხის შემუშავების პროცესში ჩაერთონ უფრო ფართო ჯგუფები.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში, ქონების მართვის სააგენტო საკრებულოს წარუდგენს დეტალურ პირობებს, თუმცა, დღეს წარმოდგენილი პირობებითაც ჩანს ის დამოკიდებულება, რომელიც მუნიციპალიტეტს ექნება გარე რეკლამებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მუნიციპალიტეტმა უარი თქვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობაზე, რომელიც ითვალისწინებს აუქციონის გამოცხადებას საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ საფასურშიც. შესაბამისად, აუქციონზე ვაჭრობა დაიწყება საბაზრო ღირებულებიდან, რაც უზრუნველყოფს საბაზრო ღირებულებაზე მეტი თანხის აკუმულირებას ბიუჯეტში. ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ერთ კომპანიას აქვს მონოპოლია, ნებართვის მფლობელს შეუძლია გახსნას არაერთი კომპანია, სასურველ ფასში გაყიდოს რეკლამა, აჩვენოს მცირე შემოსავალი და ბიუჯეტში შეიტანოს ნაკლები თანხა. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიზანი უნდა იყოს შეიმუშაოს სამართლიანი პირობები, რათა ბიზნეს სექტორს, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოს კონკურსში მონაწილეობის მიღება და თბილისის ბიუჯეტში შევიდეს ამ ბიზნესის რეალური ღირებულება.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, სამსახური მზად არის აქტიურად ჩაერთოს საკითხის განხილვებში და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს არაერთი კითხვა აქვს გაგზავნილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რომლებზე პასუხებიც მუნიციპალიტეტს დაეხმარება მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, იმ ორი პრინციპის გათვალისწინებით, რაზეც ისაუბრა ლევან ჟორჟოლიანმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით უქმდება 2009 წელს მიღებული დადგენილება, რომლის საფუძველზეც მოხდა გარე რეკლამის განთავსების უფლების გაცემა და შემოდის ახალი, უფრო ზოგადი წესი, სადაც მითითებულია, რომ აუქციონის საბოლოო სახე, პირობები, ვადები და ლოტები ანუ აუქციონის ყველა დეტალი შეთანხმებული იქნება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემული ქ.თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N00001 და N00002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული საკითხიც ეხება გარე რეკლამებს, კერძოდ, წარმოდგენილია ძველი ხლშეკრულებების გადავადება სამი თვით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩა N26-ში (ნაკვეთი N03/034, საკადასტრო კოდი: N01.19.17.003.034.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 39 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2006 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, ლოჭინის დასახლებაში (ნაკვეთი 04/139, საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.139) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 404 კვ.მ. ფართის გადაცემა ცამეტი ოჯახისთვის, რომლებიც 1990-98 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 44 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა, N139-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.010.01.602) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 77 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა, N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.019.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 84 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი

თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 67 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება N3-ში, კორპუსი N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.014.01.050) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 80 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის კორპუსი N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 77 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა N8-ში (ნაკვ. 23/011) მდებარე, 4150.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.12.023.079) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, კერძო საკუთრებაში არსებული 4050 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ.თბილისში, ნავთლუღის ქ.N8-ის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4150 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მონაცვლეობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ ფასთა შორის სხვაობა, კერძო მესაკუთრეების სასარგებლოდ, არის 71800 ლარი, რომლის მიღებაზეც ისინი უარს აცხადებენ.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ გრძელდება დიღმის ტყე-პარკის გამოსყიდვის პროცესი, რაც მნიშვნელოვანია ქალაქისთვის და დაინტერესდა, თუ რამდენი მიწის ნაკვეთია დარჩენილი კიდევ კერძო საკუთრებაში.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ კერძო საკუთრებაში დარჩენილია დაახლოებით 20-მდე მიწის ნაკვეთი და აქვე აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, რამდენიმე მესაკუთრე უარს აცხადებს მუნიციპალიტეტთან მოლაპარაკებაზე.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ საკრებულომ უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება და მიმართოს შესაბამის ორგანოებს, რათა გამოძიებული იქნას, თუ ვინ გადასცა რეკრეაციულ ზონაში არსებული ტერიტორიები კერძო მესაკუთრეებს და დაადგეს იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს წინა ხელისუფლების დროს გასხვისებული რეკრეაციული ტერიტორიების გამოსყიდვას, რომლებიც ჯერ კიდევ მრავლად არის ქალაქში, თუმცა „ჩვენი წინამორბედების ქმედებების" გამოძიება არის საგამოძიებო ორგანოების პრეროგატივა. ხოლო, საკრებულო მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელმა. ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით დადგენილებაში ჩაიწერება, რომ „დადგენილების გარკვეული მოთხოვნები არ გავრცელდება 2021 წელს გარე რეკლამების განთავსების ნებართვის განკარგვის აუქციონით გათვალისწინებულ გარე რეკლამის განთავსების ადგილებზე". როგორც ცნობილია, წლების განმავლობაში მკაცრდებოდა გარე რეკლამის განთავსების რეგულაციები, თუმცა, ამ ეტაპზე, ახლი რეგულაციების გამოცხადება მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესაძლებელია ვერ განთავსდეს ვერც ერთი ბილბორდი. აქედან გამომდინარე, უკვე განთავსებულ გარე რეკლამაზე უნდა მოხდეს ნებართვის ხელახლა აღება, თუმცა, გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც ადრე არსებობდა, არ გავრცელდება ძველ ბილბორდებზე. მისი თქმით, აღნიშნული არ შეეხება უსაფრთხოების სტანდარტს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაცული.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები ასევე ეხება ჯიხურებს, კერძოდ, ჯიხური შეიძლება იყოს არასტანდარტული ანუ 6 კვ.მ.-ზე მეტი, თუმცა არ უნდა სცდებოდეს პირველი კლასის მახასიათებლებს.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ ხშირი იყო სარეკლამო კონსტრუქციების უნებართვოდ განთავსების შემთხვევები და დაინტერესდა, წარმოდგენილი დადგენილებით ხომ არ მოხდება გარკვეული კორუფციული სქემების ლეგალიზება.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ პირველი კლასის ნებართვა არის ერთწლიანი და ყოველწლიურად ხდება განახლება, თუმცა, ფაქტობრივად, მეპატრონეები ამას არ აკეთებენ. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, გარკვეულ ჩარჩოში უნდა მოექცეს ის, რასაც

მუნიციპალიტეტი გაიტანს აუქციონზე და ეს ხელს არ შეუწყობს გარე რეკლამის უნებართვოდ განთავსების ლეგალიზებას, რადგან ნებართვის აღება აუცილებელი იქნება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-032107747-03 თარიღი: 18.03.2021, N12-032108475-03 თარიღი: 25.03.2021, N12-032108476-03 თარიღი: 25.03.2021, N12-032108568-03 თარიღი: 26.03.2021 და N12-032109177-03 თარიღი: 01.04.2021 წარმოდგენილი წინადადებები, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დადებითად შეფასდა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.347) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 70000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესაბამისად. კომპლექსის სამშენებლო მოცულობა იქნება 56000 კვ.მ., სადაც მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 15 მეტრით, ხოლო სართულიანობა - 3 სართულით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბაღდადის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.044) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N445 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი

საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია ერთ-ერთ სექტორში სამშენებლო მოცულობების გადანაწილება, კერძოდ, C ბლოკში არსებული 3700 კვ.მ. ფართის გადანაწილება ხდება E ბლოკში, ხოლო კ 1, კ 2 და კ 3 კოეფიციენტები რჩება უცვლელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523; N01.72.14.009.443) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის N109 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ, საკრებულოს განკარგულების სათაურში განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ნაცვლად, უნდა დაფიქსირდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 7 დადგენილება და 13 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი